

დავით სანდოძე

## **ქართულ-უკრაინული ლიტერატურული შეთიერთობანი XIX ს. და XX ს. დასაწყისში**

ქართულ-უკრაინულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა მემკვიდრეობის ღრმად შესწავლასა და გაანალიზებას, ამ ორი ხალხის მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება.

ქართველი და უკრაინელი ხალხები, რომელთა მსოფლმხედველობა ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბდა, ძველთაგანვე, X-XI საუკუნეებიდან ისწრაფვოდნენ, რათა ახლო ურთიერთობები დაემყარებინათ ერთმანეთთან და ამას ახერხებდნენ მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა.

1654 წელს მრავალტანჯული უკრაინა რუსეთთან გაერთიანდა, იმავე პერიოდში საქართველოს მეფე-მთაერები ეძებდნენ გზებს რუსეთთან დასახლოებად. სწორედ ამ პერიოდში ვასცნობიან პირველად რუსეთში ჩასახლებული ქართველები უკრაინელთა ლიტერატურულ ნაშრომებს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ქართველ მეფესა და პოეტს არჩილს მშობლიურ ენაზე უთარგმნია ცნობილი უკრაინელი მოღვაწეების პეტრე მოგილას და დიმიტრი ტუპტალოს თხზულებანი. შემდეგი ქართველი მეფე ვახტანგ VI რუსეთში ყოფნის დროს შეეცადა ამ ნაწარმოებთა გამოცემას, მაგრამ უშედეგოდ.

XVIII საუკუნეში დავით გურამიშვილმა თავის ნაწარმოებში პირველად შეიტანა უკრაინული თემა, მან აღწერა უკრაინის მშენიერი ბუნება, უმდერა უკრაინელი ქალის სულიერ და ფიზიკურ სილამაზეს. უკრაინა დავით გურამიშვილთან ერთად მეორე სამშობლოდ ექცათ სხვა მოწინავე ქართველებსაც.

1801 წლიდან მოყოლებული, საქართველო თანდათანობით გაერთიანდა მეფის რუსეთის მფლობელობაში. ქართველებისა და უკრაინელების დაახლოება XIX საუკუნეში უფრო მკვიდრ ნიადაგზე იგება. ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობა რუსეთსა და უკრაინაში უშუალო ურთიერთობაში იყვნენ უკრაინის ახალგაზრდებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. უკრაინის სახელგანთქმულ უნივერსიტეტებში მრავალი ქართველი სპეციალისტი აღიზარდა. ქართველი სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ უკრაინის ქალაქებში, აქტიურად მონაწილეობდნენ იქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უკრაინისათვის გაცნობის საქმეში. ამასთანავე,

ქართველი ახალგაზრდობა უკრაინელებთან ერთად მედგრად ილ-აშქრებდა რუსეთის ცარიზმის მიერ ქართული და უკრაინული ენებისა და კულტურის შევიწროების წინააღმდეგ. იმ პერიოდის ქართულ და უკრაინულ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა კორეპონდენციები, სადაც მოთხრობილი იყო უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა უკრაინის დიდ ქალაქებში მოწყობილი „კავკასიური საღამოები“, რომლებიც 1894 წლიდან მოყოლებული 1917 წლამდე ძალიან ხშირად იმართებოდა ქართველი, უკრაინელი და სხვა ეროვნების ინტელიგენციის მონაწილეობით. იმავე პერიოდში იმართებოდა აგრეთვე თემატური საღამოები, რომლებიც ეძღვნებოდა მხოლოდ ქართულ ლიტერატურასა და კულტურას, მათ ქართული საღამოები ეწოდათ. მიუხედავად პოლიციურ-ადმინისტრაციული დევნისა, გამოჩენილი ქართველი და უკრაინელი მოღვაწეები ამ საღამოებზე გამოდიოდნენ გაბედული სიტყვებით, ლექსებითა და მოხსენებებით, რომლებიც ამალლებდნენ ცოდნის დონეს. ყოველი ასეთი საღამო ფაქტიურად იყო ცარიზმის მიერ ჩაგრული სხვადასხვა ეროვნების ხალხების დაახლოებისა და დაძმობილების არენა.

1895 წელს ქალაქ ხარკოვში კავკასიური საღამო მოუწყვია აკაკი წერეთლის ვაჟს აღ. წერეთელს. ამ საღამოს მოუხიბლავს დამსწრე საზოგადოება (1, 1895, №28).

კიევში პირველი ქართული საღამო გამართულა 1899 წლის 5 თებერვალს, სადაც სხვებთან ერთად კომპოზიტორ მედიტონ ბალანჩივაძესაც მიუღია მონაწილეობა, ხოლო 1903 წელს ხარკოვში თემატურ საღამოს, რომელიც მხოლოდ ქართულ კულტურას მიეძღვნა, დასწრებია დიდი რაოდენობის მაყურებელი. საღამოზე წარმოდგენილი ყოფილა აკაკი წერეთლის ლექსების მხატვრული კითხვა, სცენები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ცეცხლოვანი ქართული ცეკვები, რომლებიც ქართველ სტუდენტებს შეუსრულებიათ.

1906 წელს მრავალი დამსწრე ჰყოლია ოდესაში გამართულ საქართველოს საღამოსაც, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა მიუღია ცნობილ ქართველ მწერალსა და თეატრალურ მოღვაწეს შადგა დანიანს (5, 95). აღსანიშნავია, რომ „კავკასიურ“ და ქართულ საღამოებზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც უკრაინელი, ასევე რუსი, პოლონელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი მოღვაწეებიც.

1897 წელს კიევში ჩამოყალიბდა სტუდენტთა წრე, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ეთარგმნათ ქართველი პოეტები რუსულ ენაზე. ამ წრემ გადაწყვიტა გამოეშვათ შემდეგი შინაარსის კრებული:

1. საქართველოს ლიტერატურის მოკლე ცნობარი;
2. ქართველი ბელეტრისტები;

3. ქართველი პოეტები;

4. ქართველი დრამატურგები (1, 1897, №56).

იმავე წელს კიევეშივე გაიმართა პოეტ ნადსონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც მოხსენებით გამოვიდა ლესია უკრაინკას ახლობელი და ნათესავი ა. კოსანი. აღნიშნულ საღამოზე წაკითხულ იქნა არა მარტო უკრაინული, ფრანგული, პოლონური, არამედ ქართული თარგმანებიც ნადსონის ლექსებისა. როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა, „ქართველთა გამოსვლამ გამოიწვია დიდი ინტერესი, საზოგადოებამ მოითხოვა გამეორება გამოსვლისა“ (1, 1897, №12).

ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ცდილობდა დაეკმაყოფილებინა უკრაინელი საზოგადოების მზარდი მოთხოვნა ქართული ლიტერატურის შესახებ. გალიციაში, ქალაქ ლვოვში, გამოდიოდა ჟურნალები „ზორია“ (რედაქტორი ა. ბორკოვსკი) და „პრავდა“, რომელთა ფურცლებზე უკრაინულ ენაზე იბეჭდებოდა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. დავითაშვილის, მ. გურიელის და სხვათა ლექსების თარგმანები. ქართული ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე მთარგმნელთა შორის თვითონ ქართველებიც იყვნენ (5, 92).

უკრაინისა და საქართველოს კულტურულ დაახლოებაში დიდი დამსახურება მიუძღვოდა მთარგმნელ გ. ნამორაძეს. კორესპონდენციებში, რომელიც ქვეყნდებოდა ქართულ გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს, იგი იუწყებოდა, რომ უკრაინაში ძალიან დაინტერესებული იყვნენ საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით, განსაკუთრებული პოპულარობით კი სარგებლობდა პოეტი აკაკი წერეთელი, რომლის ურთიერთობებს უკრაინის დიდ პოეტთან ტარას შევჩენკოსთან უკრაინელები დიდად აფასებდნენ (2, 1909, №37).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი ქართველი მთარგმნელი და მოღვაწე გიორგი ნამორაძე რამდენიმე წელი ცხოვრობდა უკრაინაში, შესანიშნავად იცოდა უკრაინული ენა, თარგმნიდა და აგროვებდა მდიდარ მასალებს უკრაინული კულტურის შესახებ. მან დავერტოვა შესანიშნავი ლიტერატურული თარგმანები, რითაც დიდი წვლილი შეიტანა უკრაინული და ქართული კულტურის დაახლოების საქმეში (3, ფონ. 209, აღწ. 1, ფურც. 36).

მეტად ახლო და საინტერესო ურთიერთობები ჰქონდა უკრაინის გამოჩენილ მოღვაწეებთან და უკრაინულ კულტურასთან ქართველი ერის გამოჩენილ შვილს, პოეტსა და დიდ მოაზროვნეს ილია ჭავჭავაძეს. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ტარას შევჩენკოს პირველი ნაწარმოები, პოემა „მოჯამაგირე ქალი“ პირველად საქართველოში, სწორედ ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1881 წელს. პოემის მთარგმნელი, რომელმაც ნ. ლ. ურის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები, ი. გრიშაშვილის აზრით იყო ნიკო ლომოური, რომელსაც 1877 წელს კიევეში ყოფნისას უთარგმნია ეს პოემა.

1893 წელს ი. ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“ ითარგმნა და დაიბეჭდა ლეონის ჟურნალ „პრავდის“ პოეზიისა და დრამის განყოფილებაში. გასული საუკუნეების 90-იან წლებში კი ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს უკრაინულად თარგმნიდნენ ო. ლოტოცკი, ბორის გრიშჩენკო, პავლო გრაბოვსკი.

1971 წელს ლესია უკრაინკას საიუბილეო დღეებში ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ ფურცლებზე დაიბეჭდა უკრაინელი პოეტის ოლექსა ნოვიცკის საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ილიასა და აკაკის ლექსების თარგმანებს „პალის“ ფსევდონიმით, გალიციაში აქვეყნებდა ლესია უკრაინკაც.

1898 წელს ილია ჭავჭავაძის 60 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინიდან თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელიც ბინაზე ეწვია იუბილარს და სამადლობელი ადრესი მიართვა მას. ადრესს ხელს აწერდნენ: მ. კოციუბინსკი, გ. გრიშჩენკო, მ. ზაგირნაია და უკრაინის სხვა გამოჩენილი შვილები.

ილიას უკრაინასთან ურთიერთობის საინტერესო ფურცელს წარმოადგენს 1906-1907 წლებში მისი თანამშრომლობა ცნობილ უკრაინელ საზოგადო მოღვაწესთან და მეცნიერთან დიმიტრი ბაგალეისთან, რომელიც იმ პერიოდში ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ილიას მუხანათურმა მკვლელობამ შეაშფოთა უკრაინის საზოგადოებრიობა, მეორე დღესვე გაზეთმა „რადამ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც მწუხარებით აუწყა უკრაინელ მკითხველს საქართველოს დიდი მამულიშვილის ტრაგიკული დაღუპვა. ამ ცნობას მოჰყვა 1907 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნებული წერილიც მრავლისმთქმელი სათაურით „საქართველოს სირცხვილი“. წერილის ავტორი ილიას ერის მოძღვრად და თავისუფლებისთვის ბრძოლის მეთაურად აცხადებდა.

1912 წლის 4 ნოემბერს ხარკოვში მოეწყო ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა იმხანად ხარკოვში მყოფმა აკაკი წერეთელმა. საღამოზე წაიკითხეს ილიას ლექსები და წარმოადგინეს სპექტაკლი „დედა და შვილი“, რომელსაც უკრაინაში ხშირად ასრულებდნენ.

1912 წლის სექტემბერშივე ფართოდ აღინიშნა ილიას დაბადების 75 წლისთავი ქალაქ ოდესაში (6, 191-200).

XIX საუკუნეში ტარას შევჩენკომ – მსგავსად პუშკინის, ლერმონტოვის და გრიბოედოვისა რუსულ ლიტერატურაში, უკრაინულ პოეზიაშიც დაამკვიდრა კავკასიურ-ქართული თემა. გენიალურმა კობზარმა ხოტბა შეასხა კავკასიის ხალხთა თავისუფლებისადმი სიყვარულს, მათ ვაჟკაცურ ბრძოლას და ამით განამტკიცა თავის

ერში სოლიდარობის გრძნობა მოძმე კავკასიელი ხალხებისადმი (4, ფონ. 1717, აღწ. 1, საქ. 431, ფურც. 4).

თბილისში ხანგრძლივად მოღვაწეობდა ტარას შევჩენკოს მეგობარი და თანამშრომელი, XIX ს. უკრაინელი მოღვაწე მ. გულაკი. იგი გაეცნო საქართველოს, შეიყვარა იგი და იმდენად გაიტაცა ჩვენი კულტურის სიღრმემ, რომ შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“ და შესანიშნავი წერილი მიუძღვნა ამ ნაწარმოებს. იგი მეცნიერულად სწავლობდა ქართულ ენასაც (4, ფონ. 1717, აღწ. 1, საქ. 313, ფურც. 1-2).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოხვედრილა სამშობლოდან გადახვეწილი უკრაინელი მოღვაწე ალექსანდრე ნაგროცკი, რომელიც მოუხიბლავს რუსთაველის სიდიადეს და რუსულ და უკრაინულ ენაზე უთარგმნია იგი. ამ საქმეში ა. ნაგროცკისათვის დახმარება გაუწევია ცნობილ ქართველ მოღვაწეს ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს.

ა. ნაგროცკი დიდად აფასებდა ილიას პოეტურ მემკვიდრეობასაც, მას რუსულ ენაზე უთარგმნია პოეტის ცნობილი ლექსი „გაზაფხული“.

მრავლისმეტყველი და ღირს შესანიშნავია ქართველ და უკრაინელ ხალხთა საუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში შესანიშნავი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას საქართველოში ყოფნა. აქ დაწერა მან მთელი რიგი თავისი საუკეთესო ნაწარმოებებისა. იგი მჭიდროდ დაუახლოვდა ქართულ კულტურას და მის მოღვაწეებს, გულითადად შეიყვარა ჩვენი ქვეყანა, მისი წარმტაცი ბუნება (4, ფონ. 1717, აღწ. 1, საქ. 370, ფურც. 51).

მსგავსად იმ პატივისცემისა, რომლითაც გარემოცული იყო უკრაინაში დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ხსოვნა, საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში პირველ აგვისტოს, ლესია უკრაინკას გარდაცვალების დღეს, ეწყობოდა ხალხმრავალი ღონისძიებები. მისი სახელის უკვდავსაყოფად სურამში არსებობს პოეტი ქალის სახლ-მუზეუმი, ძეგლი, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჰქვია ლესია უკრაინკას სახელი და ქართულ ენაზე ამეტყველდა მისი ნაწარმოებები.

ქართველი და უკრაინელი ხალხის აღნიშნულმა ურთიერთობებმა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, გამოიწვია ამ ორი ერის ურთიერთგაცნობა და დაახლოება. მიხედვად კულტურის განვითარების მიძმე პირობებისა აღნიშნულ პერიოდში, ქართველი და უკრაინელი მოღვაწენი თავდადებული შრომისა და შემართების შედეგად ახერხებდნენ ყოფილიყვნენ მაღალ კულტურულ ღონეზე და ეძებნათ ერთმანეთთან დაახლოების გზები, ებრძოლათ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზეთი „ივერია“, №28, 1895.
2. გაზეთი „დროება“, №37, 1909.
3. უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივ-მუზეუმი.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი.
5. უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1975.
6. ნ. შალუტაშვილი, ილია ჭავჭავაძე და უკრაინა, მწიგნობარი, თბ., 1987.

David Sandodze

#### **Georgian-Ukrainian Literary Relations in the XIX and the beginning of the XX century (summary)**

Georgian and Ukrainian peoples strived to build relations between themselves from the ancient times. From 1801 when Georgia was gradually integrated in Czarist Russia, these relations acquired even stronger basis. Georgian students in Russia and the Ukraine were in close relations with the Ukrainian young people and public figures. Georgian students studying in the cities of the Ukraine took active part in the social life of the country.

From 1894, until 1917 in the main cities of the Ukraine there were organized so-called “Caucasian evenings” and “Georgian evenings” dedicated to Georgian literature and culture. Such famous Georgian public figures as: Meliton Balanchivadze, Alexandre Tsereteli, Shalva Dadiani and others used to take part in these evenings in different years. Above all the magazines “Zoria” and “Pravda” being published in Lvov gave the translations of N. Baratashvili, I. Chavchavadze, A. Tsereteli, I. Davitashvili, M. Gurieliand others in Ukrainian. Georgian translator Giorgi Namoradze who knew Ukrainian perfectly contributed greatly to develop these relations.

The most popular poet at that time was Akaki Tsereteli, whose remarkable relations with the Ukrainian poet Taras Shevchenko Ukrainians valued very highly. Great Georgian public figure Ilia Chavchavadze also had very close contacts with the Ukrainian culture. O.Lototski, B.Grishchenco, A. Grabovski and Lesia Ukrainka (under the pen name of “Pali”) translated his writings in Ukrainian. Chavchvadze’s treacherous murder agitated the Ukrainian society. The “Rada” newspaper published an information about this fact and on November

4, 1912 in Kharkov there was organized a memorial meeting to Iliia Chavchavadze attended by Akaki Tsereteli.

In the XIX century Ukrainian writers like M.Gulaki and A. Navrotski lived and worked in Tbilisi for a long time. They studied “Knight in the Tiger’s Skin” by Rustaveli and other works of the Georgian writers. At the end of the XIX century and the beginning of the XX century a brilliant Ukrainian poet Lesia Ukrainka lived and worked in Georgia, her immortal works were translated in Georgian too.

Due to their remarkable literary relations, Georgian and Ukrainian peoples wrote brilliant pages in the history of their countries.